ในหลวง

วิสาขบูชา อรหัตตผล

1916

„ეფემერიდ ბიბლიოთეკა" 1916 წ.



1. [illegible] №45. [illegible] №47-[illegible]
2. [illegible] №37
3. [illegible] №33
4. [illegible] №25
5. [illegible] №6.
5. [illegible] №5
6. [illegible] №12
7. [illegible] №17, 24,
8. [illegible] №13

პარასკევი, 1 იანვარი 1916 წ. ფასი 10 კაპ.
რედაქციის ადრესი: თბილისი, ოლდას ქუჩა № 6.

ეშმაკი-ბათრახი

იუმორისტ. ჟურნალი
№ 1



5686
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
Академия наук ГССР

დრო. აი, შვილო, ახლა შეგიძლია ერიშით მიხვიდე. წინეთ ასეთი სამკაული საჭირო არა ყოფილა. ახლა კი დროება გამოიცვალა. შენ ის ბებერი უნდა დაამარცხო და მისი პოზიცია აიღო. აბა, წინ წა! (იხ. მეორე სურათი მე-16 გვერდზე).

ვაცხადებთ მკითხველთა საყურადღებოთ, რომ საახალწლო მოთხრობა **თაგუნასი**—ვერ იბეჭდება ამ ნომერში უადგილობისა გამო.

ახალი წელი.

(იგავისებური)

დედამ პატარა წიგნი მაჩუქა.
ლამაზი წიგნი, ასი ფურცელი...
მე კი, სირეგვნით გატაცებულმა
თავდავიწყებით მოვხვიე ხელი
და გადავშალე...
სწრაფად და მალე!..

—

პირველი გვერდის ვერრა გავიგე...
მესამეზე კი ხმა ამოვიღე...
უზრუნველობის, ცელქობის ხანა!!!
სამოთხე იყო ჩემთვის ქვეყანა...
დაუდგრომელი თამაში, ხტომა...
ტურფა ზაფხული, და შემოდგომა
სისწრაფიდ ვლიდენ
და ფურცლებს ცვლიდენ!..

—

მეათე გვერდი რო გადავშალე,
კილო საგრძნობლად გამოვიცვალე.
ხან რაღაც „სწავლა“ გამიჩნდა ჭირად,
ხან თოხი ხელში ყანისა პირად...
გული თუმც მქონდა შვებით აღსავსე,
მე მასში მაინც ვერ მოვათავსე
უზრუნველობა განვლილთა დღეთა,
და მისწრაფება სიამაყეთა.
ვსდევ დროთა ბრუნვას...
შეუდექ ზრუნვას!..

—

უკვე, მეოცე გვერდს მივახწიე
და დადგა ჩემი გაწა-მაწიე...
გამაგრდა მკლავის და გულის ძალა,
ცხოვრებას რიდე ჩამოეცალა.
გრძნობა, გონებას გაუდგა განზე
უკვე იბრძვიან რაღაც საგანზე
და თუმცა გული კვლავ წინ მიილტვის
მას აჩრდილი სდევს კრთომის და იქვის.
ფიქრი ნავარდობს
გული კი დარდობს!..

—

მეოცდა ათე გვერდს რომ დავხედე...
ხმის ამოღებაც ვეღარ გავბედე.
წიგნს მოხვედრია ვიღაცას ხელი
და მოუპარავს ათი ფურცელი!!
ნეტავ ვინა ჰქნა იმ უმადურმა?!
გული ამივსო მტრობამ და შურმა...
და სინამდვილე
ნათლად ვიხილე!

—

მეორმოცე გვერდს დავხედე როცა
შევკრთი, ცხოვრება იმზომ მეოცა.
თითქო განგებაც ჩემი მტერია:
გულში გამეფდა ბუჰლალტერია!
ცას ლაჟვარდოვანს თვალი ვერა სჭვრეტს
ყორნები სცვლიან იადონს და მტრედს.
გრძნობა განელდა
ცა ჩამობნელდა.

—

დღეს მესამოცე ვნახე ფურცელი
და მწუხარებას ძლივს გავუძელი.
შევატყვე, ხელი ამიკანკალდა
კარგად დახედვაც აღარ დამცალდა...
იქ მე სურათი რო დავინახე
ვეღარ ვიცანი შიგ ჩემი სახე...
თვალნი მივაპყარ ჟამს გარდასულსა
გულით ვეუფლე დროსა წარსულსა.

—

ვზივარ გულ გრილი,
გულ განაცივი,
ჩემში გამქრალა
იმედის სხივი...
ვათვალიერებ
განვლილ ფურცელთა
და ველი შიშით
ახალთა წელთა.

—კი.



წლიური მიმოხილვა.

რეიმსის მშვენიერი ტაძრის დანგრევა, გარდა იმისა რომ თავისთავათ დიდ უბედურებას წარმოადგენდა ხელოვნების სფეროში, სიმბოლიურ მოვლენათაც უნდა ჩაითვალოს. ამ საშინელი ბოროტმოქმედებით

მართლაც ჩაჰქრა ლამპარი ყველა იმ ტაძარში, სადაც მშვიდობიანობის დროს კაცობრიობა ლოცულობდა და სამაგიეროთ აღიმართა ერთი საშინელი სამსხვერპლო, და ამ სამსხვერპლოზე გუზგუზებს ხარბი და უძღები კოცონი და იწვის ადამიანთა დაუსრულებელი ჰეკატომბები.

ომის გავლენა ვერც ჩვენმა ეროვნულმა ხელოვნებამ აიცდინა და საქართველოშიაც შეწყდა პირველი შეხედვით დაუცხრომელი შემოქმედება ხელოვნების სხვა და სხვა დარგის მხატვრებისა.

საანგარიშო 1915 წელს თავამათ შეგვიძლიან ქართულ ხელოვნების თვლემის წელი ვუწოდოთ.

ამ წლის განმავლობაში მთელ საქართველოში არსად გამართულა ქართული მხატვრობისა, თუ ქანდაკების ნაწარმოებთა საყურადღებო გამოფენა, არც ხუროთ მოძღვართა პროექტების კონკურსი, არც ქართული „როკვა“ ანუ ბალეტი, არც ახალი ქართული ოპერის წარმოდგენა...

მაინცა და მაინც ეს გარემოება სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს ჩვენი ეროვნული ხელოვნების მაჯის ცემა შეწყვეტილიყოს და ქართველი ხელოვანნი ამ წლის განმავლობაში გულ-ხელ დაკრეფილნი მსხდარიყვნენ. მართალია საჯაროთ, ქვეყნის დასანახავათ არა გამოფენილა-რა, მაგრამ იქ, ქართველ ქურუმთა მყუდრო სახელოსნოეიში და კაბინეტებში, დაუცხრომელი ჩუმი მუშაობა სწარმოებდა და ჩვენც მოვალენი ვართ თვალი გადავავლოთ, აღვნუსხოთ მაინც ამ მუშაობის ნაყოფი.

1.

დ რ ა მ ა.

ყველაზე საყურადღებო დრამატიული ნაწარმოები გასულ 1915 წელში, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენმა საუკეთესო დრამატურგმა—გაზეთმა „Закавк. Рѣчь-“მა დასწერა; მართალია უკანასკნელი მოქმედება ჯერ არ დაუმთავრებია, მაგრამ, ვინაიდან მხოლოდ საფინალო სცენა-ღა დარჩა დასაწერათ, თამამათ შეგვიძლია ნაწარმოები დაწერილათ მივიჩნიოთ.

ჩვენი სასიქადულო დრამატურგის ახალი ნაწარმოები—ტრაგედიაა. მხატვრული ღირსებანი ამ ჭეშმარიტათ უბადლოდ ტრაგედიისა ყოველ ეჭვს გარეშე დგანან: საუცხოოთ გასკვნილი კვანძი, მოქმედების თანდათანობითი ზრდა, ვნებათა და დაბრკოლებათა სიდიადე და მათ შეჯახებათა საშინელება, თავზარდამცემი კატასტროფის აუცილებლობა და ბოლოს თვით ეს ბუმბერაზი კატასტროფი—ამ შესანიშნავ ტრაგედიას თვით შექსპირისა და ძველ ტრაგიკოსების აისქილოსის, ევრიპიდესი და სოფოკლეს-ტრაგედიებზე გაცილებით მაღლა აყენებს. ამას ჩვენ სრული გულდამშვიდებით აღვიარებთ და გვგონია რომ არც არავინ შეგვედავება. უმთავრესი ალმატებითი ღირსება ამ ტრაგედიისა ხსენებულ უცხო ტრაგიკოსების ნაწარმოებთა წინაშე ის არის, რომ ჩვენი დრამატურგი თავის შესანიშნავ თხუზელებაში კერძო პიროვნებებს და მათ პირად ვნებათა აშლას როდი გვიხატავს, არამედ მთელი ერები გამოჰყავს გმირებათ და ამ ერთა შორის მძულვარებას აღვივებს და აჩაღებს შეუდარებელი მხატვრული თანდათანობით. უმთავრესი მომქმედი პირი ტრაგედიისა არის გვამი მეტათ ცბიერი და დაუნდობელი, სახელათ გრუზინი, რომლის როლი შექსპირის იაგოს როლს წააგავს იმ განსხვავებით რომ შექსპირის იაგო მხოლოდ კნინია, მინიატურაა გრუზინთან შედარებით, რადგან პირველი მხოლოდ ცოლ-ქმართა შორის სთესავს თავის მოშხამულ თესლს, ხოლო უკანასკნელი ეროვნებათა შორის. როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, ტრაგედია ჯერ სავსებით დასრულებული არ არის

ჩვენ შეუცდომლათ შეგვიძლიან ტრაგედიის ფინალის წინასწარ გათვალისწინება. რაც დაწერილა კიდეც, ცხადჰყოფს ავტორის განზრახვას: ეჭვი არ არის მას სურს უკანასკნელ სცენაში მთლიანათ დააჯახოს ერთმანერთს ეს ორი ეროვნება...

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შესანიშნავი ტრაგედიის სცენაზე წარმოდგენა ყოვლათ შეუძლებელი იქნება: თუმცა პრემიერების შოვნა არც ისე ძნელია, მაგრამ საღიანგო (მასიური) სცენების დადგმა არას გზით არ მოხერხდება, ვინაიდან სტატისტების შოვნა ფრიად გასჭირდება.

ეს გარემოება სრულიადაც არ ამცირებს დიდებული ტრაგედიის ღირსებებს: მართალია კავკასიის ვერც ერთი თეატრი ვერ წარმოადგენს მას, მაგრამ ჩვენი ხელოვნების სალაროში ხომ მაინც სამარადისოთ დარჩება, როგორც გასაცვიფრებელი მხატვრული დოკუმენტი...

2.

მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ა.

ამ დარგში პირველობა ჩვენს ახალგაზრდა მხატვარს, გაზეთ „საქართველოს", ეკუთვნის. ეს მხატვარი საანგარიშო წელში გამოვიდა ასპარეზზე და საკვირველია, რომ პირველივე მისი თხუზელება ზესთაბუნებრივი ნიჭით არის აღბეჭდილი და ნამდვილ 'შედევრს წარმოადგენს. მთავარი ღირსება ჭაბუკ მხატვრის შემოქმედებისა არის ლაღი და ზღვარდაუდებელი ფანტაზია, ფრთაგაშლილი და ძალუმათ მქროლავი. მისი პირველი გრადიოზული ტილო ტიტანის შემოქმედებას ამხელს: ავტორის ძლიერი ოცნება ზღაპრულ ფასკუნჯივით დასტრიალებს დიდებულ ნაწარმოებს და ქარიშხალივით ნავარდობს საუცხოო ფერადებში. ამ ტილოს სახელათ ჰქვია „სამშობლო ანუ ერთობილი ქართლი" და გარდა ზემოხსენებული ღირსებისა მით არის შესანიშნავი, რომ ახალ ხანას იწყებს ქართულ ხელოვნებაში თავისი ორიგინალური მიმართულებით. აქ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხელოვნება გამეცნიერებულია და მეცნიერეაა გახელოვნებული: მხატვრობა და გეოგრაფია ურთიერთთან შეუდუღებია მხატვარს ისე ოსტატურათ და ისეთი გემოვნებით, რომ არავითარი ნაძალადეობა, არც თუ მხატვრობის სფეროში გეოგრაფიის „შეჭრილობა" არ ეტყობა.

თქვენ წინ იშლება თვალის დამატყვევებელი პანორამა „ერთობილი ქართლისა", რომელიც გადაჭიმულია სკუტარიდან ვიდრე სამარყანამდე და დნეპრიდან ვიდრე მეწამულ ზღვამდე. ვერც სხვა ვინმე ხელოვანი და მით უმეტეს ვერც მაყურებელი ვერ მიწვდება იმ საიდუმლოს ფერადებისას, რომლის საშვალებითაც ჩვენი მხატვარი სიშორეს გამოხატავს. მთელი ეს ულეველი სივრცე ერთობილი ქართლისა დასახლებულია ქართველთა ტომებით და თქვენ ნათლად ხედავთ უაღრესი ხელოვნებით ცოცხალ-ქმნილთ, ეროვნულ სამოსელში გამოწყობილთ და თავით ფეხამდე შეიარაღებულ ქართველებს, იქ კი, შორს, საქართველოს მიჯნას იქით, უკან მოუხედავათ გარბიან დამფრთხალი უცხოელები და თქვენ თითქოს გესმით მათი შეშინებული ყვირილი, ქართველთა მამაცი ყიჟინა და იარაღთა ჟღარუნი...

ყოვლად შეუძლებელია ამ სურათის აღწერა და მისი ნახვის შთაბეჭდილებათა გადმოცემა. საჭიროა, თავათ ნახოთ მეოცე საუკუნის ეს მოულოდნელი სასწაული და უშუალოთ დასტკბეთ მისი სიმშვენიერით. მაგრამ, ვაი, რომ ერთი წმინდათ ფიზიკური ხასიათის გარემოება ხელს უშლის მაყურებელს მთლიანათ გადაავლოს თვალი სურათს: ტილო ისე დიდია, რომ მისი ერთიანათ გაშლა ყოვლად შეუძლებელია, რადგან დღევანდელ საქართველოს საზღვრებში ვერას გზით ვერ დაეტევა, ხოლო ჩვენი გაუტანელი მეზობლების იმედი რომ თავიანთი ტერიტორიაც (ვითომ „თავიანთი"?!?!) დაგვითმონ სურათის კიდეების მოსათავსებლათ, არა შემთხვევაში არ უნდა ვიქონიოთ.

3.

მუსიკა.

ახალ-წელთან ერთად გულის სიამაყით გილოცავთ, მკითხველო, ეროვნულ გამარჯვებას მუსიკის სფეროში!

ეს გამარჯვება ისე თვალსაჩინო და საკვირველია, რომ მის მნიშვნელობას მუსიკის ხელოვნებისათვის ვერ შეედრება ვერც რადიუმის აღმოჩენის მნიშვნელობა ქიმიის სფეროში. თუ რადიუმის აღმოჩენამ ცოტა არ იყოს შეარყია სამეცნიერო ქიმიის ატომისტური თეორიის უეჭველობა, ამ ჩვენმა ეროვნულმა გამარჯვებამ სავსებით გააქარწყლა მუსიკის თეორია და ნამდვილი რევოლიუცია მოახდინა ამ ფარგალში.

ეს გამარჯვება მოიხვეჭა ჩვენმა მხცოვანმა კომპოზიტორმა გაზ. „სახ. ფურცელმა". საანგარიშო წელში მან დაამთავრა ახალი ოპერა, რომელიც აგებულია სრულიად ახალსა და უცნობ სამუსიკო პრინციპებზე. ყველასათვის აშკარაა, რომ ეგრე წოდებულ ჰარმონიას ჰქმნის სხვა და სხვა ტონის ხმათა კეთილ-შეზავება ანუ, როგორც მემუსიკეები იტყვიან „კონსონანსი", ხოლო კილოთა შეუწყობლობა ანუ სხვა და სხვა ტონის ერთმანეთთან შეუფარდებლობა, ე. ი. მუსიკალურ ენით რომ ვთქვათ—„დისონანსი" წარმოშობს დისჰარმონიას, ხმათა უკეთურ შეზავებას, სასმენათ მეტათ უსიამოვნოს და ყურის შემაძრწუნებელს. ჩვენმა

ᲕᲐᲥᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ.

ᲒᲣᲠᲣᲚ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ.

1. ᲡᲐᲛᲣᲔᲚ ᲩᲐᲕᲚᲔᲨᲕᲘᲚᲘ, 2. ᲐᲚ. ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ, 3. Ვ. ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, 4. Ს. ᲩᲮᲘᲙᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

მოხუცმა კომპოზიტორმა (ღმერთო, მრავალს დაასწარ დღევანდელ დღეს!) უარყო ეს თითქო უტყუარი კანონი და მთელი ახალი ოპერა დაამყარა სწორეთ დისონანსებზე და არა კონსონანსებზე. მისი ოპერის გმირები ისეთი კილოით მღერიან თავიანთ პარტიებს, რომ არც ერთის ხმა არ ეგუება დანარჩენებისას, არსად არ მოისმის „კონსონანსი“ და ყველგან „დისონასი“ მეფობს. გარნა ბოლოს რაღაც მანქანებით მაინც ჰარმონია წარმოიშვის და არა დისჰარმონია. ერთმა ცნობილმა კომპორატორმა ამ საოცარ მოვლენას უბრალო მუსიკალური ფოკუსი უწოდა, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, მისი ასეთი აზრი შურის გრძნობითაა გამოწვეული.

ოპერის შინარსი მოკლეთ ასეთია. არაკი ლიბრეტოსი ძალიანა ჰგავს „სამსონ და დალილას“ არაკს და განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ აქ სამსონს ღალატობს სატრფო კი არა, არამედ მეგობარი, ვინმე ფრანგი Monsieur géronte. ამის და გვარათ უმთავრესი მომქმედი პირები სამსონ ძლიერი და M. géront არიან. პირველი სოციალისტია და მისი ძლიერებაც, როგორც ბიბლიური სამსონისა, გრძელ თმებში იფარება. ფრანგი მეგობარი შეუტყობს ამას და, ვინაიდან ღრმათ მორწმუნე ანტისოციალისტია, შეუმჩნევლათ ნელ ნელა ჰკვეცავს თმას. სამსონი გრძნობს, რომ მის სოციალიზმს ძალა ელევა, მაგრამ იცის ვისი მიზეზით ჰხდება ეს. ბოლოს უეცრათ შენიშნავს მეგობარ ფრანგს, რომელიც მაკრატლით ეპარება და ყოველივე ირკვევა მისთვის. ამას იქით სამსონი ფრთხილათაა, თმა თანდათან ეზრდება და როცა თმასთან ერთათ უწინდებური ძლიერებაც დაუბრუნდება, გრძნობაშელახული და მეგობრისგან მოტყუებული სამსონი ეცემა დედა ბოძს, წააქცევს და თავს დაანარცხებს ყველა მომქმედ პირს დანგრეული სახლის ნამტვრევებს.

ბოლო მოქმედება სწარმოებს სარაჯიშვილის სახლის მეოთხე სართულში, სასახლის ქუჩაზე.

თაგუნა

საახალწლო კუპლეტები

„ჯერ დარდანელი დაკეტილია!“

ცხოვრებას ალღო ვეღარ ავართვი:
აზრი, გონება აწეწილია!
ყოველგვარ კითხვას
სამი სიტყვა სწყვეტს:
„ჯერ დარდანელი დაკეტილია!“

—

ჩვენს „წილ-კან-განის“ გამგეობაში
ჩვეულებრივი ტაბილი ძილია...
რატომ არ იტყვით?
იმიტომ რომა
„ჯერ დარდანელი დაკეტილია!“

—

ახალი სკოლა არსად გახსნილა...
(პატიოსანი და კეთილია!)
მერე მიზეზი?
მიზეზი ის, რომ
„ჯერ დარდანელი დაკეტილია!“

—

ქაღალდი (წიგნის დასაბეჭდავი)
მათ არ ჰქონიათ დაკვეთილია...
ახლა კი ქაღალდს
სადღა იშოვი?
„ჯერ დარდანელი დაკეტილია!“

—

ფეხსაცმლისათვის მიველ ვაჭართან...
(შარშან ნაყიდი გაცვეთილია)
სამი თუმანი
მომთხოვა წყვილში...
„ჯერ დარდანელი დაკეტილია!“

—

ღვინო ისედაც გაგვიდიდკაცდა...
(ვაზს რო გაუჩნდა რაღაც ტილია)
ღღეს ზედაშედაც
ვეღარ ვიშოვე,
„სჩანს დარდანელი დაკეტილია!“

—

შეშისთვის მიველ ხე-ტყის ვაჭართან...
(ოთახი მიყვარს ცოტა თფილია)
საჟენში მთხოვა
ათი თუმანი!!
„ჯერ დარდანელი დაკეტილია!“

—

მიმაკლდა ნავთი. (თუმცა მეუღლე
ნავთის ხარჯვაში ერთობ ფრთხილია!)
წაველ საძებრათ...
თქვენც არ მომიკვდეთ!
„ჯერ დარდანელი დაკეტილია!“

—

უფროს შვილს გუშინ (რაღაც ჯანდაბად)
ჯერ ყბა ასტკივდა, მერმე კბილია...
ვსებნე და ვერსად
ვპოვე იოდი...
„სჩანს დარდანელი დაკეტილია!“

—

წამძლია სულმა... შეველ დუქანში,
რო შემეძინა ცოტა ხილია...
გირვანქა ვაშლი
სამი აბაზი!!!
„ჯერ დარდანელი დაკეტილია!“

—

გუშინ ჩიხირთმას ხახვი მიმიკლდა...
თანაც ნიორი სამი კბილია!
ამაოდ ვსძებნე
დაღამებამდე...
„ჯერ დარდანელი დაკეტილია!“

—

მეფეურნეს პური არ აღმოაჩნდა,
გამოლევია მასაც ფქვილია...
ფქვილი კი ჩვენში
საიდან მოვა,
„თუ დარდანელი დაკეტილია!“

—

ჩაის წყლისათვის მოვედი კრანთან...
ხახა გამშრალი დამხვდა მილია...
თავო სულელო!
განა არ იცი,
„რომ დარდანელი დაკეტილია!“

—

ქათამმა კვერცხი აღარ დამიდო...
აღარც კრუხი მყავს, არც წიწილია
განა რა არის
აქ გასაკვირი?
„ჯერ დარდანელი დაკეტილია!“

—

სახლის პატრონმა ქირას უმატა...
(არ მოუმატოს, ოჰ რა შვილია!?)
გარნა თუ იგი
ვერ გაიგებდა,
„რომ დარდანელი დაკეტილია!!“

—

ვსთქვი:-ჩემს აქ ყოფნას ორი ბოლო აქვს:
ან გადარჩენა, ან სიკვდილია,
უნდა გავშორდე
მაგრამ სად წავალ,
„როს დარდანელი დაკეტილია!“

—

იმერეთისკენ ვარჩიე ისევ,
მიველ. სადგური გაქედილია...
ბილეთს და ადგილს
აქ ვინ იშოვის?
„ჯერ დარდანელი დაკეტილი!“

—

იქით კი, თურმე, გადმოხვეწილებს
ეძებს და ეძებს ვიღაც ილია...
აი რეგვენი!!!
როგორ იპოვას,
„თუ დარდანელი დაკეტილია!“

ეშმაკი.

„ქაჯეთის ციხეს“.

საახალწლო მილოცვა.

(გურულ-ყაიდაზე)

კარი გამიღეთ! - რა მომაქვს?
ნადავლი უცხო გვარისა
მზის მოწყინარე სიტურფით
უციალესი მთვარისა,
წამოყვანილი პონტოს და
ფაზისის შესართავითა,
მიჯნურობისთვის დასჯილი,
რომ მოსცურავდა ნავითა,
ნაპირს მოადგა შევიპყრე,
უთვისტომო და ეული,
თუმცა მანც დამაპატიმრა,
სიტურფით ქაჯი წყეული
მის გოდეზასთან „ერებიც“
დარჩება შეუდარები
თვალთაგან ფაზის-მტკვარივით,
მოჰქუხს ცრემლისა ღვარები,
მიჯნურს დაეძებს არ იცის,
ცოცხალია თუ მკვდარია
ხმობილსა „ნესტან-დარეჯნათ“[1])
აბოდებს ვინმე „ტარია“[2])
უკანასკნელიც პირველის
უცდური მაძებარია
გაჭრილა პონტო-გურგენს შვა
უვლია მთა და ბარია,
მას ეხმარება „ავთანდილ“[3])
მიჯნური „თინათინისა“[4])
ამღზრდელ-პატრონის დამგდები
და საკუთარი ბინისა.
ყალბი მიჯნური „ფატმანის“[5])
ვაჭართა დედოფალისა
„უსენიც“[6]) უწინ სიმთვრალით,
გამცემი დარეჯანისა,
აზვირთებული „ფრიდონიც“[7])
თავისი „ლეგიონითა“[8])
(თუმც ჩვენს „ზანგებთან“[9]) ყველა ეს
ვერას გახდება ღონითა)
გამიღეთ კარი! მომდევენ,
ნესტანის დასახსნელათა
ზანგებს უყივლეთ შამოკრბენ
ციხესაშიგან მცველათა,
რომ შამოგვეგებას ბრძოლაში,
ტარიელ-მისი გმირები,
ავათ აუხთეს თათბირი
და მათი განაპირები.
რადგან ტარიელს ნესტანი
ხათუნათ უნდა, ცოლათა,
ჩვენ კი ქაჯეთის დედოფლათ
უფრო გვიღირდეს ყოლათა
მიიღეთ ქაჯთა მეფეო,
რადგან სამეფო ძღვენია,
(თუმცა კარებზე რახუნით
კი შეგაწუხებთ, მცხვენია).

ბუტუნა.



(ოსაგვსიტ)

---

[1]) „ნესტან-დარეჯანი“ — ისტორიული საქართველო. [2]) „ტარია—ტარიელი“ გაზ. „საქართველო“. [3]) „ავთანდილ“ „სახალხო ფურცელი“. [4]) „თინათინ“—რეალური საქართველო. [5]) „ფატმანი“ გაზ. „მეგობარი“. [6]) „უსენ“ გაზ. „სამშობლო“. [7]) „ფრიდონი“—გაზ. „ზვირთი“. [8]) „ლეგიონი“ „ეროვნული მუშები“. [9]) „ზანგები“ მუშები.

მჩხავანა კატები

მონადირეებმა სახაზინო ტყეში ირემი დაინახეს. განიზრახეს მოკვლა და განაწილება მისი.
— ჩალალაჯი, ბეჭი, სუკი და ბარკლები მე მერგებაო, სთქვა ერთმა.
— ეგ სადაურია, სუკი და ბარკლები ჩემი უნდა იყოსო, წამოიძახა მეორემ.
— ხუმრობთ, თუ რასა ჰგავს. სათბილო, სუკი და ბარკლები ბუნებრივათ მე უნდა მეკუთვნოდესო, დასძინა მესამემ.
ველარ მორიგდენ და გაიმართა ჩხუბი.

საახალწლო მილოცვები.

მეომრებს.

ჰოი ქართველნო,
ჭირთა მნახველნო,
სანგრებში მსხდარნო
სწორ-უპოვარნო!
თქვენ მაგონდებით
პირველ ყოვლისა,
(საბანი გხურავთ
ვისაც თოვლისა),
და საახალწლო
სალამი წრფელი
ფრთა გაშლით,
ვითა ახალი წელი
თქვენსკენ მოფრინავს,
თქვენსკენ ნავარდობს
თქვენთან სიკვდილსაც
აღარა დარდობს.

მჩხავანა კატები

როდესაც მონადირენი ცოცხალ ირემს ინაწილებდენ, ტყის პირად ტყის მცველი გამოჩნდა. მონადირეები დაფრთხენ, სახლისაკენ მოჰკურცხლეს და გადარჩენ.

მას ნუ შეხვდებით
მხედარნო მტრულად...
მიიღეთ იგი
ტკბილ-მეგობრულად
გისურვებთ სიმხნეს
ძველს, მამა-პაპურს
გულის სიმტკიცეს,
ღარღილს ვაჟკაცურს,

ქართველ სამღვდელოებას.

სამღვდელოება
ჩვენი, ქართული,
ტკბილს ოცნებაში
გახლავთ გართული.
ოჰ, რა კარგია
კარგი სიზმარი!!
(და რა ცუდია
ცხვირიდან ძმარი!)
ქრისტეს მცნებაში
წელ მონადუნე,
დღეს რატომ გახდა
ეგზომ მორწმუნე
ჩვენი ქართველი
სამღვდელოება?...
გამოიცვალა
განა დროება???
არა მგონია!..

სხვაც ეგრე ფიქრობს...
ოცნებით, ალბათ,
იგი დარდს იქრობს...
და თუ კი მართლაც
„ფლავს არიგებდენ“
ერის კაცები
ვერ გაიგებდენ?
ოჰ, რა კარგია
კარგი სიზმარი!
ოჰ, რა ცუდია
ცხვირიდან ძმარი!!

ჩერჩებს.

ჰეი თქვენ, ჩარჩნო,
და წურბელანო
(ჩოთქს ვინაც აქნევთ,
თითქმის ყველანო).
ჩემდამი ბევრი
გაქვთ ნამსახური
და აი ქებაც
დამიგდეთ ყური.
ბაღში ფოთლები
რომ გაირხევა,
თქვენი გაისმის
იმათგან წყევა!
წვიმის წვეთები
ძირს რო სცვივიან
თქვენს ავკაცობას
მხოლოთ სჩივიან.
ქარი რომ დაჰქრის
და დასისინებს
ისიც თქვენ გტირის,
თქვენზე ქვითინებს.
თქვენ დაამტკიცეთ
რომ ჯოჯოხეთი
გწამთ ამა სოფლად,
გწამთ ერთად ერთი.
რომ სხვა არვინ გვყავს
თქვენებრ ერთგული
თქვენებრ მორწმუნე
ჩვენ მოციქული.
და თუ ცოცხალ არს
კვლავ ჯოჯოხეთი,
არ დააკლდებით
მას არცა ერთი.

ეშმაკი.

ვაჟია, ვაჟი!

„ქართული პოლიტიკური ოჯახი ქალებით გაიგსო:

სოციალისტ რევოლიუციონერებით, სოციალისტ დემოკრატებით, სოციალისტ ფედერალისტებით“.

„ქართველი ოჯახის ნამდვილი პატრონნი ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ამ ქალაბიჭებით დაუძლურებულნი 30 წელიწადი მწარეთ მოსთქვამდენ“...

„ამ დიდებულთ მათ სიცოცხლეში არ ედირსათ სანატრელი ვაჟის ხილვა. ეს ვაჟი მათ შემდეგ დაიბადა... პაწია, შეკუმშული უძლური და უსახო“.

გაზ. „საქართველო“ № 171.

ჯერ კიდევ მამალს მესამედ არ ეყივლა, მთაწმინდის ფერდოებს თალხი ლეჩაქი ეფარა, როცა მოსკოვის ქუჩის დასაწყისში, (თუ არა ვსცდები მეოთხე ნომერში) ახალშობილი ბავშვის ჭყავილი გაისმა. მართალია მე პირადათ არ გამომიცდია სიტკბოება შვილის ყოლისა, მაგრამ წარმოდგენილი მაქვს ნახულითა და გაგონილით. ამიტომ სრულიადაც არ გამკვირვებია ის აუწერელი კუნტრუში, ჭიხვინი და ხორხოცი, რომლითაც ჭირისუფლები ახალ-შობილის პირველ ჭყიპინს შეეგებნენ.

— ვაჟია, ვაჟი! აღტაცებით გადასძახა ახალგაზრდათა კრებულს ბებია ქალმა „ეკალმა“.

— ვაჟია!

— ვაჟია!

— ვაჟია! ნერწყვის ყლაპვით გაიმეორეს დამსწრეებმა და ცნობის მოყვარეობით დაუწყეს სინჯვა პატარას.

— შეხედეთ, როგორი პაწია, შეკუმშული, უძლური და უსახოა. დასძინა ბებიამ.

— დააცადეთ როგორ „არაბუნებრივი გაიზრდება“ წარმოსთქვა ვიღაცამ.

— ვისი შვილია, ვისზე უნდა დაიწეროს?

— როგორ თუ ვისი შვილია, ვისი და ილიასი...

— ჰო, მაგრამ რომ არ მიიღოს? ასეთი მახინჯი, ასეთი უსახო...

— ჩვენ მივუგდოთ და შემდეგ რაღა გზა ექნება...

— კარგი და პატიოსანი, მაგრამ ილია რო ცოცხალი აღარ არის...

— მაშ აკაკის მივუგდოთ.

— აკაკის მართლაც რომ მიუგდებდა კაცი, მაგრამ სად უნდა მივგვაროთ ბინა რომ არა აქვს?

— საადრესო სახლში გავიგებთ; სულ ორი შაურის საქმეა

გაგზავნეს კაცი და გამოირკვა, რომ აღარც აკაკი ყოფილა ცოცხალი. მწუხარებამ მოიცვა პატარა ოთახი, მაგრამ აი გაისმა ვაჟის წრიპინი და სახეს კვლავ ღიმი მოეფინა.

— მოდი ვაჟას მივუგდოთ, ცოტათი იმასაც ჩამოჰგავს.

— ვაჟას, ვაჟას...

ვაჟა-ფშაველა იმ დროს ცოცხალი იყო, თუმცა ლოგინათ იწვა, ავათმყოფობისაგან ძალ გატეხილი. ერთი მხრით ეს უკეთესიც დარჩა.

მოსკოვის ქუჩის პირველ-შობილი ავათმყოფ მგოსანს მიუგდეს.

— ეს რა ავაზაკობაა, თავისი მახინჯი სხვას მიუგდოს კაცმა! მრისხანეთ წარმოსთქვა მგოსანმა.

— სადაური მახინჯი, მშვენიერი ვაჟია გენაცვალე. მორცხვად შენიშნა ბებია ქალმა, რომელიც თან გააყოლეს სადარაჯოთ პატარას.

— როგორი მახინჯი, მოკუმშული და უსახო რამეა... სადაური ვაჟია! ეგ ვაჟი არ არის.

— როგორ თუ ვაჟი არ არის, თქვენი ნამდვილი სახეა, ნამდვილი ხატია!..

ქალავ, არ გშვენის ეგ სიტყვა,
დიაცთა შეუფერები,
წა, გამეცალე თოლთაგან
ნუ მტანჯავ, ნუ მეფერები
შვილნი სხოც ბლომად მისხედან,
აღარ მჭირიან გერები...

— უი ქა, ეგ რა თქვი ბოშო? თუ არ შემეხვეწები კალთებს როდი დაგაგლეჯთ. წავიდეთ გენაცვა, წაიდეთ ჩემო იადონო, ჩემო პატარავ...

პატარა „ვაჟი“ არავინ მიიღო. ვინც კი დახედავდა ყველა ერთნაირად გაიძახოდა:

— ოჰ რა მახინჯი, რა მოკუმშული, რა უძლური და უსახოაო.

კარგა ხანს ატარეს ეგრე კარ და კარ, ვიდრე ქველმოქმედებით განთქმულმა ქართველმა თავად აზნაურობამ არ იშვილა.

ამბავი ესე ღირსია ყურადღებისა:

მიუხედავათ სქესობრივი სანატრელობისა, მოსკოვის ქუჩის ღარიბი ოჯახობა უკიდურეს გარემოებაში ჩავარდა, ვინაიდან მოკუმშული, უძლური და უსახო“ ბავშვი არავითარ ვაჟურს და მით უმეტეს ვაჟკაცურ იმედს არ იძლეოდა.—შვილო „სახარე ხბოს სასკორეზე ატყობენო“, მწარე ამოოხვრით იტყოდა ხოლმე ბებია-ქალი, როცა „უძლურს, უსახოსა და მოკუმშულს“ ოჯახის წევრს დაჰხედავდა. ამას საკუთარის ღონის არა თუ პატრონობა ოჯახის, თავისი თავის შენახვაც არ შენახვაც არ შეეძლება.

— მაშ რა ვქნათ დიდედ, რა ვქნათ. ერთი „ვაჟი“ შეეძინა და ისიც ეგეთი.

— რა უნდა ვქნათ გენაცვა; სხვა გზა არ არის, მოჯამაგირეთ უნდა დავუყენოთ კნიაზსა; თუ ასიამოვნებს, იქნება კიდევაც იშვილოს, ხომ იცით უშვილო და გადაშენების გზაზე დამგარია.

— ჩინებული რჩევაა!..

— საუცხოვო აზრია!

— უკეთესის მოფიქრებაც ძნელია!

ბებია-ქალის აზრმა ყველა აღტაცებაში მოიყვანა და მეორმოცე დღეს „არა ბუნებრივათ გაზრდილი“ ვაჟი „მოსკოვის“ ქუჩიდან „ბელინსკის“ ქუჩაზე გადაიყვანეს, ვგონებ მეორე ნომერში. იქ მას მართლაც გულ-მტკივნეულად, თითქმის მშობლიურის თანაგრძნობითა და ალერსით დაუხვდენ, ხოლო მეორმოცდახუთე დღეს კიდევაც წინადაცვითეს.

რადგანაც მოხელენი უვიცნი გამოდგენ აღნიშნულ მოქმედებაში, ამიტომ აქტი წინადაცვეთისა უხეიროდ იქნა შესრულებული და ერთად ერთი „ნუგეში“ მამულისა საჭურისად გადააქციეს.

ნათლი ბატონებმა ახალ შეძენილს საუცხოვო სახელი, „ეროვნული დემოკრატი“ დაარქვეს, პერანგად გაზეთი „საქართველო“ შეუკერეს, ხოლო პერანგის ამხანაგად ქუთათური „სამშობლო“. ბებია ქალის წინასწარმეტყველება თითქმის პირწმინდათ ახდა:

პატარა „ეროვნული დემოკრატი“ მართლაც არა ბუნებრივად იზრდება!

ჯერაც „მოკუმზული, უძლური და უსახოა“ და გულ-კეთილი მამინაცვლების მეოხებით სულდგმულობს.

მორიელი.

საერთაშორისო ომი.

(მიმოხილვა)

არა მგონია, საქართველოში მოიპოებოდეს ისეთი წერა-კითხვის მცოდნე ქართველი, რომელსაც არ გაეგონოს თანამედროვე საერთაშორისო ომის ამბავი.

ამასთანავე, არა მგონია საქართველოში მოიპოებოდეს ორი წერა-კითხვის მცოდნე ისეთი, რომელთაც ერთნაირად ეცოდეს მიზეზი და მიზანი თანამედროვე საერთაშორისო ომისა.

და აი, „ეშმაკის მათრახი"-ს რედაქციის მონდობილობით ვიკისრე მძიმე შრომა: გამომეკვლია ნამდვილი მიზეზები და გამეშუქებია ყველასათვის გასაგებათ ეს საინტერესო მოვლენა.

—

არ ვიცი ღმერთმანი სხვა ისტორიკოსები რისთვის ართულებენ უბრალოსა და მარტივ კითხვას ომის დაწყების შესახებ! მე არა მაქვს სურვილი მათ მივბაძო და აუტკივებელი თავი ავიტკივო.

თანამედროვე საერთაშორისო ომი გამოიწვია ერთმა სერბიელმა... გიმნაზისტმა. ვინ არ იცის, თუ რა უწესოდ იქცევიან ქუჩებში გიმნაზისტ-გიმნაზისტკები! სიცილ-კასკასი, ერთმანეთის ჭვრეტა, ხშირად მწვავე სიტყვების გასროლ-გამოსროლაც *) ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, ხოლო ამ ბოლო დროს მათში (მეტადრე გიმნაზისტებში) თუთუნის მწეველებიც გამოერიენენ.

ვინაიდან წერა-კითხვას სხვა ქვეყნებშიაც ავრცელებენ, ამიტომ გიმნაზიები სერბებსაც აქვთ, ასტრიელებსაც და წარმოიდგინეთ გერმანელებსაც. ერთმა სერბიელმა გიმნაზისტმა 1914 წლის გაზაფხულზე რევოლვერი ესროლა და მოჰკლა ავსტრიის მეფის მემკვიდრე ფრანც-ფერდინანდი.

რას ერჩოდა ქუჩაში მიმავალ კაცს? აბა ვინ იტყვის გიმნაზისტი ამასა და ამას არ ჩაიდენსო! ვინ იცის რას ერჩეოდა, მოეხასიათა და მოჰკლა. ის გიმნაზისტი გვარად **პრინციპი** აღმოჩნდა და და **აი** ამიტომაც ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ ომის როგორც ეკონომიურს, აგრეთვე ნაციონალურ სარჩულს და მის გამოიმწვევ მიზეზად პრინციპს ვასახელებთ. ეს ომი არ არის არც იმპერიალისტური, არც ნაციონალური, არამედ იგი წმინდა პრინციპიალურია.

ავსტრიის ხემწიფეს ძლიერ ეწყინა საყვარელი ძმის წულის სიკვდილი და სერბიას ნოტა გაუგზავნა. ნოტებს არავითარი ყურადღება არ მიაქცია. ახლა იოსებმა ნოტებს ულტიმატუმიც მიაყოლა. ულტიმატუმი ძნელი მოსანელებელი იყო და სერბიამ არ მიიღო.

მაშინ ავსტრიამ სერბიას ომი გამოუცხადა.

აი ომის დაწყების ნამდვილი მიზეზები და არა ის, რომლებსაც ჩვენი ჟურნალ-გაზეთები ივრცელებენ. არ ვიცი ღმერთმანი სად არის აქ, ან ნაციონალური, ან ეკონომიური მიზეზები.

სერბია რუსეთის ბიძაშვილია, ავსტრია კი გერმანიისა. ამიტომაც რუსეთი სერბიას ამოუდგა მხარში, — ხოლო გერმანია კი ავსტრიას. საფრანგეთმა მიიხედ-მოიხედა და ისევ რუსეთი ამჯობინა. ინგლისიც ასე მოიქცა. იტალია პირველ ხანებში ნეიტრალიტეტს იჭერდა. საბერძნეთი, რუმინია, შვეცარია, გოლანდია, დანია, შვეცია, ნორვეგია, ისპანია და პორტუგალია ახლაც ნეიტრალიტეტს იჭერენ. *) ოსმალეთი და ბულგარია გერმანიას ამოეკედლენ.

ომი, როგორც მოგახსენეთ, გამოიწვია სისხლის აღების ჩვეულებამ. ეს სამარცხვინო ჩვეულება დღესაც ფეხგადგმულია ევროპის განათლებულ ერთა შორის და ჩვენს მთიულ ტომებში.

---

*) ამით აიხსნება ბრძნული განკარგულება ადგილობრივი სასკოლო ადმინისტრაციისა, რომლის ძალით გიმნაზისტ-გიმნაზისტკებს და სხვა მოსწავლეთაც საღამოს 9 საათიდან ქუჩაში ცხვირის გამოყოფა აკრძალული აქვთ.

*) ნეიტრალიტეტი თევზი არ გეგონოთ. როცა იტყვიან: „ესა და ეს ქვეყანა ნეიტრალიტეტს იჭერსო" ეს იმას ნიშნავს, რომ იგი თავისთვის ზის და არავის არ ეხმარება. ამით, რასაკვირველია იმის თქმა კი არ მინდა, თითქო ნეიტრალიტეტის დაჭერა თევზის დაჭერაზე ნაკლებ სარგებლიანი იყოს, პირიქით!

**) ეს ცნობები ამოკრებილია თფილისის ჟურნალ-გაზეთებიდან.

ს უ რ ს ა თ-ს ა ნ ო ვ ა გ ე.

უკვე ომის პირველსავე თვეებშივე გამოირკვა, რომ სურსათ-სანოვაგის მხრით ჩვენი მტრები უკიდურეს პირობებში იყვენ. ყოველ-მხრივ გარშემორტყმულთ რასაკვირველია თავისი საკუთარი სურსათი მალე დაელეოდა, მით უმეტეს, რომ ერიშების დროს გერმანელები თითქმის არა ზოგავენ პატრონებს. *)

დ ა ნ ა კ ლ ი ს ი.

ომი სწარმოებს აგერ წელიწად-ნახევარია. საინტერესო და დამაფიქრებელია იმ დაახლოებითი ზარალის გათვალისწინება, რომელიც კაცობრიობას თავს დაატყდა, ვიდაც გიმნაზისტის მიზეზით.

*) ცბიერმა მშვენივრად გამოიყენა ისტორიული სიტყვები ერთ-ერთი ნიჭიერი და შორს გამჭვრეტელი რუსი მოხელისა: „Патроновъ не жалѣть!“

საახალწლო საუბარი.

(ბათუმისთვის)

მოწყალენო ხელმწიფენო!

დიდი ბოდიში რომ ამ საახალწლო საუბარს ვბედავ არა ლექსათ.

თ-დს ი. ზ. ს-ს.

ნეტა ვიცოდეთ, ცნობილი ქუთათური კულეგაკინის რაიმე ნათესავი ხომ არა ბრძანდებით?

ე. მ. კ-ს.

მართალია ხურდა ფული გაძვირდა, მაგრამ ადამიანი მის მაგიერობას ვერ შესძლებს.

რეჯ. ბ. ნ-ს.

ყველაფერი შენს ნებაზე რომ მიგყავს, ცოტა კოლლეგებსაც დაუჯერე.

ი. ს. მ-ს.

სიხარულით მოველით თქვენს მეორე იუბილეს. იმედია თქვენს ტაბილს ხმას კვლავ გაგვაგონებთ.

მ. ს. ჩ-ს.

ხომ ხედავთ ცოცხლათ აღარ გიშვებენ, თხოვნით ნუ აწუხებთ აწ ულბრავას.

ს. დ. უ-ს.

ნეტავ იგი მაცოდინა, როდის ნახავ შენ მარგალიტს?

ბ. ი-ლს.

ინვენტარი უკვე შესდგა და შენ აწ.....

ბ. დ. გ-ს.

არა მჯერა, რომ ნურიის მეწვანილეთა საზოგადოების სარეეიზიო კომისიის თავმჯდომარეობაზე თქვენ უარი სთქვათ.

გ. დ. ე-ს.

წარსულ არჩევნების დროს შენს გარდა სხვამაც განიცადა თავისტეხა და რყევა იმის გამოცნობაში, თუ რომელი მხარე გაიმარჯვებდა.

გ. ს. ს-ს.

ხმა დადის, „Батумскій День“ მხოლოდ ოთხის წლით შეჩერდებაო.

მ. ჯ-ს.

უპრავაში ვინ გყავს რიგში „სარეჩოთ?“

დასასრულ ორიოდე სიტყვა **ბრძოლის საშვალებათა შესახებ.**

უბრალო საყასბო-სასაკლაოთა განვითარების ისტორია აშკარა ჰყოფს ადამიანთა გონებრივ განვითარებასა და გულჩვილობის გრძობათა გაღვიძებას. ძროხათა და ხართა, ღორთა და ცხვართა მოკვდინების საშუალებანი დღეს გაცილებით უფრო ჰუმანიურია და უკეთეს პირობებში ხდება, ვიდრე ეს იყო ამ რამოდენიმე ათეულ საუკუნეთა წინ. მაშასადამე რაღა გასაკვირია, თუ გულჩვილთა და ლმობიერ მეცნიერთ ეზრუნათ ომის დროს ადამიანთა სიკვდილის შესამსუბუქებლათ. აი ამ რამდენიმე წლის წინეთ ვიდაც ამერიკელ ინჟენერმა მოიგონა ეგრედ წოდებული „ქველ-მომქმედი“ პატრონები, რომელნიც. როცა გახვრეტს ადამიანის გულს, თავს, ან სხვა რაიმე ორგანოს, სტოვებს შიგ ერთგვარ, დამაძინებელ ნივთიერებას და მომაკვდავს ტანჯული სული ძილში ამოსდის.

ჩვენმა მტრებმა ფეხ-ქვეშ გათელეს ლმობიერი პრინციპები და შამოიღეს:

1) მოწამლული კვამლით გამოხრჩობა.
2) ადუღებული წყლით მომდუღვრა და
3) ასატირებელი გაზით აცრემლება.

(შემდეგი მეორე საახალწლო ნომერში).

ისტორიკოსი.

გ. ლ. ე-ს.

ბათუმში რომელი დაწესებულების გამრავლების მომხრე უფრო ბრძანდებით,—შემოსავლიანის თუ შემოუსავლოსი?

ლ. ს. ქ.

შენდობა მამაო!

გრ. ა-ს.

სრული ჭეშმარიტებაა, „რომ შენი პერანგი უფრო ახლოა შენს ტანთან“.

ბ. გ-ს.

რა დიდი საქმეა, „სამაგალითო ექიმმა“ სამაგალითო სახლი აიგოს.

კ. ი. ჩ.

იყავ შენ, ვითარცა სხვანი, და იქნებიან ისინი ვითარცა შენ.

ი-ნ. ს-ს.

ბედაური ყველა მხედარს არ იზურგებს.

ს. გ. მ.

მოდი ერთი, „ხონური კენჭობია“ ვითამაშოთ!

კ. ა. გ-ს.

კარგათ უტევ, მარა მგლები მაინც არ გეპუებიან.

თ-ლ მ. მ. ნ.

ერთ მხარეზე ფულები აწყვია, მეორეზე ყველაფერი —შენ რომელს აირჩევ?

ქალაქის გამგეობას.

1916 წლის ხარჯთ აღრიცხვის წიგნში არ დაგავიწყდეთ შეტანა იმ ხარჯებისა, რომლებსაც სიმშილით მკვდარი მოსამსახურეების დამარხვა გამოიწვევს.

ველისციხელი ვაჭრების ფიცი

ვფიცავთ ჩვენი ქურუმის სივ—ს მკაცრს კამჩრიახობას,

ვფიცავთ ჯოჯოხეთის ნანგრევ ქვათა ღაღადსა,

ვფიცავთ ჩვენგანვე დარიბთაგან ამოხდილ სულებს და მათი ტყავისაგან ჩვენთვის შეკერილს ქურქებს.

ვფიცავთ ჩვენს გაიძვერობას,

ვფიცავთ მიმალულს, წონაში ნაკლებ ფუთგირვანქიანსა და სანოვაგეთა საწყაოებს,

ვფიცავთ ჩვენს, მუშტრისადმი ურცხვ თვალებსა,

ვფიცავთ იმა გზას, რომლითაც გაგვიშპა ჩვენი სინიდისი,

ვფიცავთ ჩვენგან მიმალულ სავსე ფქვილის ტომრებს.

ვფიცაათ ეშმა გეოს მოხერხებულს ჯადოქრობასა,

ვფიცავთ ჩვენგანვე თვით ანტექრისტეს ეშმაკურათ მოტყუებასა,

ვფიცავთ ყასბებისაგან არხეინად მჭამლობას.

ერთი სიტყვით ვფიცავთ, ვფიცავთ და კიდევაც ვფიცავთ.

რომ, ჩვენისთანა ბედნიერი, არა ვგონებთ კიდევ იყვეს სადმე ერი!

ხუნხუზელი ბორა.

თფილისის საზოგადოების საყურადღებოთ.

გვაქვს პატივი ვაცუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ მომავალ დღესასწავლებისთვის გვაქვს საგანგებოთ დამზადებული კარგი ღირსების კვასი **„ჩვენი გემო“** და ვურჩევთ პატივცემულ მხმარებლებს, რომ ამ ღვინის სიძვირის დროს ისარგებლონ ჩვენ მიერ დამზადებული კვასით.

„ჩვენი გემო“ არაფრით არ ჩამოუარდება დღევანდელ ზოგ ფირმების ღვინოებს და პირიქით ჯანმთელობისათვის მეტი სარგებელიც არის და გაცილებით სჯობია სხვა მის გვარ სასმელებს; მეტადრე პურის ჭამის დროს ძლიერ სასიამოვნო არის. ქარხნის ადრესი ჩერქეზოვის ქუჩა № 38 ქალაქის „ლეჩებნიცის“ ქვეშ.

ვინც ათ ბოთლობით დაიკვეთს დაკლებულ ფასებში დაეთმობა. „ჩვენი გემო“ იყიდება ყველა საუკეთესო მაღაზიებში და ბუტკებში.

ქარხანა ღია დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათ. გთხოვთ პირადათ დარწმუნდეთ.

პატივისცემით ამხანაგობა **„ჩვენი გემო“**.



მოხუცი დაეცა. ახალი წელი გამარჯვებას დღესასწაულობს.

ნებადართულია სამხ. ცენზორ. სტამბა ამხ. „შრომა“ რედაქტორ-გამომც. თეოფილე ბოლქვაძე.